ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №295/3

თბილისი 07 „ივლისი„ 2017 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამილა ბარკალაიას** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს „ბი ემ სი გორგია"** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის **გია გორგოშაძის** სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის დუშეთის შშმ პირთა პანსიონატის საჭიროებისათვის ვინტილების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV-კოდი, 42100000 დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისათვის, 44100000- სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები; 44500000- ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები; 44400000- სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **3306,29** (სამიათასსამასექვსი ლარი და 29 თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებლის მისამართზე „ თბილისი, წერეთლის 140.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ორგანოდან) და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3.ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.1.2კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების) შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ხელშეკრულების 13.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

15.2. წიმანდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაღვრული პირის ფუნქციებია:

15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, ინსპექტირების დასკვნის და „მიღება-ჩაბარების აქტის" გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", სამი _ „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022
ს/კ № 205169592

თამილა ბარვალია
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს „ბი ემ სი გორგია"
ქ. თბილისი, წერეთლის 140
ს/ს „თიბისი ბანკი"
კოდი TBCBGE22
ა/ა # GE62TB1007536020100008
ს/კ #245621288

გია გორგოშაძე
დირექტორის შინდობილი პირი

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	CPV-კოდი	განზომილება (ცალი)	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამში ფასი (ლარი)
1	2898 DI ამოსატუმბი საშუალება DOMI	44400000	ცალი	3	10,00	30,00
2	უნიტაზის სამაგრი ვერცხლისფერი BKMMX-10080S (2ც)	44400000	ცალი	9	1,25	11,25
3	ხელსაბანი ნიჟარის სამაგრი BKMUX-12100 (2ც)	44400000	ცალი	5	2,10	10,50
4	ანჯამა ქ.რ 4*3 Hinge 100510 (2 ცალი)	44500000	ცალი	20	3,00	60,00
5	20მმ ქურო VESBO	44100000	ცალი	10	0,25	2,50
6	ბეტონის ლურსმანი 120მმ-იანი	44100000	კგ	0,158	6,01	0,95
7	ბეტონის ლურსმანი 40მმ-ნი	44100000	კგ	0,254	5,98	1,52
8	ბეტონის ლურსმანი 100მმ-იანი	44100000	კგ	0,136	6,03	0,82
9	20მმ სამკაპი VESBO	44100000	ცალი	21	0,45	9,45
10	მუხლი 20მმ	44100000	ცალი	19	0,25	4,75
11	კარის საკეტი A8017/9/1	44500000	ცალი	20	13,00	260,00
12	20X1/2"M მუხლი VESBO	44100000	ცალი	20	2,88	57,60
13	ცილინდრული გულანა 8100-70 MM KOMPIUTER	44500000	ცალი	20	5,00	100,00

14	05A200 ცული 600გ, ოპტიკობოჭკო სახელურით	44500000	ცალი	1	26,90	26,90
15	ხის ბურღი სპირალური, 4 -10 მმ, ნაკრები 5ც. 60H805	44500000	კომპლექტი	1	2,30	2,30
16	სახრახნისი ორმხრივი (AKISD0608)	44500000	ცალი	2	6,15	12,30
17	CTMDP0044-ელ.ბურღის საცვლელი პირების ნაკრები 8ც(ბეტონი)	44500000	ცალი	1	10,90	10,90
18	20მმ სარქველი VESBO	42100000	ცალი	6	7,75	46,50
19	ხერხი 500mm	44500000	ცალი	1	14,50	14,50
20	ბოქლომი 38MM TOL621-55134	44500000	ცალი	9	3,35	30,15
21	ბოქლომი 32MM TOL620-55133	44500000	ცალი	1	2,75	2,75
22	ბოქლომი 38მმ (DIPL0401)	44500000	ცალი	4	3,55	14,20
23	სამზარეულოს შემრევიA1008-9A	42100000	ცალი	20	22,20	444,00
24	აბაზანის შემრევი A1035-2	42100000	ცალი	20	44,50	890,00
25	დუშის ყურმილი პლასტმასის (#9 მწვანე წერტილით)	44400000	ცალი	20	3,65	73,00
26	სამხაპე მილი 2m NOVA-19079-29	44100000	ცალი	20	4,50	90,00
27	დრეკადი შლანგი DN8 1/2F-M10L 60სმ (გრძელი) FIXAFLEX (BELGIUM)	44100000	ცალი	10	8,60	86,00
28	დრეკადი შლანგი DN8 1/2F-M10K 60სმ (მოკლე) FIXAFLEX (BELGIUM)	44100000	ცალი	10	6,50	65,00
29	წებოცემენტი პლატინიუმ სტანდარტი	44100000	ცალი	2	9,75	19,50
30	თაბაშირის ფითხი Satengips (კნაუფი) (25კგ-იანი ტომარა)	44100000	ცალი	1	15,35	15,35
31	უნიტაზის კომპლექტი VICTORY TR115P	44400000	ცალი	5	134,00	670,00
32	მილი 20მმ	44100000	მეტრი	104	1,15	119,60
33	დრეკადი შლანგი DN8 1/2F-M10K 50სმ (მოკლე) FIXAFLEX (BELGIUM)	44100000	ცალი	10	5,40	54,00

34	დრეკადი შლანგი DN8 1/2F-M10L 50სმ (გრძელი) FIXAFLEX (BELGIUM)	44100000	ცალი	10	7,00	70

თანხა ჯამში : 3306,29 ლარი

„შემსყიდველი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"

თამილა ბარკალაია
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს „ბი ემ სი გორგია"

გია გორგომაძე
დირექტორის მინდობილობით პირი